პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.ფ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

პარასკევი. 20 დეკ მარტი 1935 წ. № 293 (4449)

ფასი 10 კაპ.

დღეს ნომერშია:

— საქმით პასუხი—ორდენოსან სტახანოვს! (მოწინავე).
— მ. სიმვულიდი—სარაიონო ბიუჯეტის შესახებ.
— ბოლშევიზმის ციცხალი სიტყვა—„პრავდის“ მოწინავე
— ფრიადზე ჩამბატაროთ პირუტყვის აღწერა.
— აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკების სტახანოველები ამხ. ჟურულაშვილთან.
— სტახანოვურად ვიბრძოლოთ ციტრუსების ნერგებისათვის.
— კიროველები საქმით უპასუხებენ ალექსი სტახანოვს.
— ერთა ლიგის საბჭოს სხდომა.
— ლავალი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.
— ბენეში — ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.
— გადადგა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი.

არონ კიტია

კვირიკაძე ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი მუნჯელი.

(იხ. წერილ. მე-3 გვერდზე).

საქმით პასუხი—ორდენოსან სტახანოვს!

გუშინწინ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩვენი ქვეყნის საამაყო ადამიანის, მეორე ხუთწლედის უყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მოძრაობის ინიციატორის ალექსი სტახანოვის წერილი საქართველოს ჩაისა და ციტრუსების სახელოვან მებრძოლებისადმი.

ეს წერილი ეკვს გარეშეა ახალ ენეოგიას, სიმხნევეხსა და გაკნებას შეიტანს იმ ახობოკრებულ სტახანოვურ მოძრაობაში, რომელიც ასე სწრაფად ედება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წმრომელთა მილიონიან მასებს.

ეს წერილი განსაკუთრებულის პათოსით აღფრთოვანებს საქართველოს ჩაისა და ციტრუსების რაიონთა მოწინავე ადამიანებს და შესცემს მათ ახალ მძლავრ იმპულსს პარტიისა და ხელისუფლების საბრძოლო დავალებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

შორეულ დონბასში—ირმინოს მაღაროში—განაკვესი სტახანოვური მოძრაობის ნაპერწკალი კარგა ხანია კოცონად აენთო და ხანძარივით ვრცელდება თვალუწვდენელ საბჭოეთის უყველა კუთხესა და მხარეში.

საქართველოს ჩაისა და ციტრუსების რაიონებმა, რომელთაც თავისი შესანიშნავი წერილით მიმართავს ამხანაგ ალექსი სტახანოვი, უკვე ათობით და ასობით გამოავლინეს მოწინავე ადამიანები, რომლებიც თავიანთ გმირული, მაღალ-კვალიფიკაციური მუშაობით ანგარიშს გამოუშვებენ ძველ, დრომოჭმულ ნორმებს და რეკორდს-რეკორდზე ამყარებენ შრომის ნაყოფიერების უმაგალითოდ გადიდების საქმეში.

ორდენოსან საქართველოს რესპუბლიკაში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც ამაყად არ სმოდის სტახანოვური მოძრაობის გამამხნევებელი ყიჟინა, სადაც არ ჩქეფდეს ხარჭობო დავალებათა სანიმუშოდ შესრულების წყურვილი და არ იზრდებოდეს შრომის სახელოვან გმირთა რიგები.

კახეთის საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელებმა უკვე შექმნეს ხალხური შემოქმედების ნაკვესები სტახანოვისა და სტახანოვური მოძრაობის სადიდებლად. შორაქის თვალუწვდენელ ტრამალიან ველებში მეფანდურე მწყემსებიც კი მოხდიხან ასეთ ჰანგზე:

> რომელ ხმაზე დავამღერო,
> რა საკრავზე რა ლექსიო,
> ვაშა ბიჭო, შრომის გმირო
> სტახანოვო ალექსიო...

განა ყოველივეს ეს არ მოწმობს, თუ როგორი ჰადრევანით ცემს სოციალისტური შიჯიბრების ნაკადი ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე? განა ეს არ ამტკიცებს იმას, რომ ტახანოველის სახატიო სახელის ტარება გადაიქცა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მებრძოლ ადამიანთა სახელის და გმირობის საქმედ?

დიახ, ეს ამას მოწმობს უსათუოდ!

წაიკითხეთ „კომუნისტის“ ოღუნდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები ქობულეთისა და ჩაქვის რაიონების შეჯიბრების შესახებ, გაეცანით ჩაქვში ციტრუსების ოსტატ დურსულ ნაკაშიძესთან ლანჩხუთელ კოლმეურნეთა სტუმრობის ამბებს, ნახეთ კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის სახელოსნოს სტახანოველთა გამარჯვების მაჩვენებლები, გაიხსენეთ კომკავშირელი ქალის მარიკა ფინდოკიდის და მისი უახლოესი თანამებრძოლების საამაყო გამარჯვება ჩაისა და ციტრუსების ფრონტზე, მოიგონეთ ახმეტ მახარაძისა და პროკოფი გონიადის მუ ობის განსაცვიფრებელი შედეგები ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში და თქვენ აშკარად დაინახავთ, თუ როგორი ფესვები აქვს გადმოცული სტახანოვურ მოძრაობას, თუ როგორ იზრდებიან ახალი ეპოქის ახალ ადამიანთა ძვირფასი, ოქროს კადრები.

„დიდი ყურადღებით და სიხარულით წავიკითხე — სწერს საქართველოსა ჩაისა და ციტრუსების მებრძოლებს ამხ. სტახანოვი—საკ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ფართობთა გადიდების ხუთწლიანი გეგმის შეახებ. ეს შეახებ დადგენილება ერთბელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და ძველთავრობა, იმისათვის, რომ უკაღლეს საფეხურზე დააყენოს ჩვენი ქვეყანა საყარიო ბალები, უკეთ გაიოიყენოს ჩვენი თვალუწვდენელი საშობლოს ბუნებრივი სიმდიდრენი კიდევ უფრო გააუკეთოს ჩვენი კვეყნის მწოროებელთა მდგომარეობა.

დიახ, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და დიდი ბელადის ამხააკ სტალინის დახმარებით სულ ეყოველგვარ დაბრკოლებას საქართველოსა სუპტროპიკული ზონის რაიონებს.

ეს-ეს არის ადგილებს მისწვდა „კომუნისტის“ ნომრები, რომელშიაც ამხ. სტახანოვის წერილია გამოქვეყნებული და უკვე დაიწყო სოციალისტური შეჯიბრის ახალი ეზვირთება: ჩაისა და ციტრუსოვანი პლანტაციების მებრძოლები ჩაქვში ციტრუსების ოსტატ დურსულ ნაკაშიძესთან ლანჩხუთელ კოლმეურნეთა სტუმრობის ძველ, დრომოჭმულ ნორმებს და რეკორდს-რეკორდზე ამყარებენ შრომის ნაყოფიერების უმაგალითოდ გადიდების საქმეში.

ორდენოსან საქართველოს რესპუბლიკაში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც ამაყად არ სმოდის სტახანოვური მოძრაობის გამამხნევებელი ყიჟინა, სადაც არ ჩქეფდეს ხარჭობო დავალებათა სანიმუშოდ შესრულების წყურვილი და არ იზრდებოდეს შრომის სახელოვან გმირთა რიგები.

ამ წერილის ეპოქის ეპოქალური მნიშვნელობის გამო ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ ამხ. სტახანოვის წერილს.

ამხ. სტახანოვის წერილზე

ეს პასუხი უნდა იყოს ცოცხალი საქმე იმ ამოცანების შესასრულებლად, რომელსაც ჩაისა და ციტრუსების დარგში გვისახავს პარტია და ხელისუფლება: ციტრუსების სანიმუშო სანერგე მეურნეობის შექმნა და ახლად გასაშენებელი ფართობის ჯანსაღი ნერგებით უზრუნველყოფა, ციტრუსების საიმედო კადრების მომზადება-გადამზადება, არსებული ნარგავების სამაგალითოდ დაცვა, ჩაის პლანტაციების ახალი ფართობების ათვისება, გაშენება ისე, რომ საჭირო არ იქნეს არავითარი რემონტები, მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, და გაშლილი სტახანოვური ბრძოლა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში განთავისუფლდეს უცხოეთის ჩაის შემოტანისაგან—აი ის საბრძოლო ამოცანები ა.ომლებიც დაკისრებული აქვს საქართველოს სუპტროპიკული ზონის რაიონებს.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

ჟენევა, 18 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომა გაიხსნა დღეს, საღამოს, არგენტინის წარმომადგენლის განაზუს თავმჯდომარეობით. დილაწყის“ თავმჯდომარემ ორიოდე სიტყვა სთქვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად ბენეშის არჩევის გამო. მან ხაზგამით აღნიშნა ის უდიდესი დამსახურება, რომელიც ბენეშს ერთა ლიგის წინაშე მიუძღვის, და დაავალა ლიგის გენერალურ მდივანს, საბჭოს სახელით გულითადი მადლობა გამოუცხადოს ბენეშს. თავმჯდომარის სიტყვას შეუერთდნენ ლავალი, იდენი, მადარიაგა, თევფიქ რუშტი არასი, რუმინეთის წარმომადგენელი ანტონიადო, პორტუგალიის წარმომადგენელი მონტეირო და ამხ. პოტიომკინი.

ამხ. პოტიომკინმა კერძოდ, სთქვა:

„ყველანი, ვინც კოლექტიური უშიშროების საქმისათვის იბრძვიან, თავის თავს მიულოცავენ ბენეშის არჩევას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბ-ნი ბენეში კვლავ ძვირფას დახმარებას გაუწევს ერთა ლიგასა და მშვიდობიანობის საქმეს“.

ყურადღება მიიქცია ბეკის დუმილმა.

შემდეგ საბჭო გადავიდა იტალია-აბესინიის კონფლიქტის განხილვაზე.

თავმჯდომარის მოწვევით, აბისინიის დელეგატი, აბისინიის, ელჩი პარიზში ვოლდე მარიამი ადგილს იკავებს საბჭოს მაგიდასთან. იტალიის ადგილი ცარიელია.

თავმჯდომარემ გააშუქა საკითხის ისტორია და აღნიშნა: დღემდე არც იტალიის, არც აბისინიის მთავრობას პასუხი არ გაუცია პარიზის წინადადებებზეო. ამის შემდეგ სიტყვა მიეცა იდენს, რომელმაც განაცხადა:

„საჭიროა განსაკუთრებით ხაზი გაესვას, რომ პარიზის წინადადებანი არ არის წამოყენებული, როგორც ისეთი წინადადებანი, რომლებსაც ყველა გარემოებაში მხარი უნდა დავუჭიროთ. ეს წინადადებანი წამოყენებული იყო იმის გამოსარკვევად, თუ როგორ შეხედავდნენ მათ დაინტერესებული მხარეები და ერთა ლიგა. ბრიტანეთის მთავრობამ მხოლოდ ამ მიზნით გაუწია მათ რიგი მეხდაცა. ამიტომ, თუ გამოირკვევა, რომ წინადადებანი ვერ აკმაყოფილებენ ძირითად პირობას, სახელდობრ, რომ მათ უნდა ითანხმონ ორთა ლიგამ, მაშინ ბრიტანეთის მთავრობა ვერ შეძლებს განაგრძოს მათი რეკომენდირება, ან მხარდაჭერა. ბრიტანეთის მთავრობის აზრით, ამ შემთხვევაში შეიძლება აღნიშნულ ცდას ვერ მივაჩნიეთ ისეთ ცდად, რომელსაც თავისი მიზნისათვის მიეღწიოს, და თავის მხრივ ბრიტანეთის მთავრობა ამ ცდას აღარ განაგრძობს“.

სხვათა შორის, იდენმა თავის სიტყვის დასაწყისში საჭიროდ სცნო აღენიშნა, რომ მიღებული სანქციები ძალაში რჩება.

იდენის შემდეგ გამოვიდა ლავალი, რომელმაც განაცხადა:

„მე საჭიროდ არ მიმაჩნია კვლავ განვმარტო ჩვენ მიერ წამოწყებული საქმის აზრი“.

ჩვენი საქმე აგებულია ჩვენს საერთო რწმენაზე, რომ ურთიერთი შეთანხმების ძიება ყოველთვის შეესაბამება ერთა ლიგის წესდებას როგორც ფორმალურად, ისე არსებითად. ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ როგორ შეხვდებიან მხარეები ჩვენს სურვილებს. ვფიქრობ, რომ თვითონ საბჭო ამ პასუხის მოლოდინში თავს შეიკავებს საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოვალეობად მიმაჩნია უკვე ეხლავე განვაცხადო, რომ თუ ამ ცდას ყველა დაინტერესებული მხარე არ დაეთანხმება, მაშინ საბჭო თავს ვერ დააღწევს თავის მოვალეობას—არ უგულებელჰყოს არავითარი საშუალება და ხელიდან არ გაუშვას არავითარი შესაძლებლობა, რათა ეს კონფლიქტი სპაპტიად და სამართლიანად გადასჭრას, როგორც ამას გვიკარნახებენ ერთსა და იმავე დროს—მშვიდობიანობის ინტერესები და ერთა ლიგის დანიშნულება“.

აბისინიის წარმომადგენელმა ვოლდე მარიამმა განაცხადა: აბისინიის მთავრობას არ სურს წარმოადგინოს თავისი პასუხი, ვიდრე საკითხს ლიგა არ შეისწავლისო. აბისინია მიენდო ერთა ლიგას. მას არ სურს დააჯერონოს, რომ აბისინიის ხალხი ახლა მარტო თავის ანაბარა იქნება მიტოვებული. აბისინიის მთავრობა არც ერთი ხალხისაგან არ მოითხოვს, რომ მან. აბისინიისათვის სიკუთარი სიცხლი დაღვაროს, აბისინელთა სისხლიც ქმარა. აბისინიას სურს თავის მეზობლებთან მშვიდობიანად იცხოვროს, მაგრამ ეს უნდა იყოს არა კაპიტულაციაზე დაყრდნობილი, არამედ სამართლიანი მშვიდობიანობა. აბისინიას სურს იცოდეს ლიგის წევრთა აზრი პარიზის წინადადებებზე. თორემ შეიქმნება პრეციდენტის ისეთი რისკი, რომლის შედეგები აუნაზღაურებელი იქნება“.

ამის შემდეგ თავმჯდომარე იმის გამო, რომ მხარეებისაგან პასუხი ჯერ კიდევ არ შემოსულა, წინადადებას იძლევა საკითხის განხილვა გადაიდოს. საბჭომ წინადადება მიიღო. სხდომა ამით დაიხურა.

ახალი სხდომის თარიღი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. ხვალ მოსალოდნელია საბჭოს წევრთა არაოფიციალური სხდომა იტალიის დაუსწრებლად.

იდენისა და ლავალის განცხადებებს შორის განსხვავებას ყველა აღნიშნავს. კერძოდ, იდენის განცხადება შეფასებულ იქნა, როგორც ის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ინგლისელებმა საკუთარი საზოგადოებრივი აზრის ზიავლენით გადასწყვიტეს კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხიონ უკან. (ადს).

□ □ □ □ □

ლავალი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ

პარიზი, 17 დეკემბერი. დღეს დეპუტატთა პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ლავალმა განაცხადა: არა მსურს პასუხგაუცემლად დავტოვო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა.

„ჩვენ,—განაცხადა ლავალმა,—ყველაფერი გავაკეთეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა იტალია-აბისინიის ომი. შემდგომ, როდესაც ომი გამოცხადდა, ჟენევაში ჩვენ ავამუშავეთ კოლექტიური უშიშროების მექანიზმი“. მაგრამ სანქციები ლავალის სიტყვით, არ წარმოადგენენ ომის შეწყვეტის ერთადერთ საშუალებას. „სწორედ ასევე,—აღნიშნა პრემიერმა,—შეუსაბამება ლიგის წესდებას კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის ძიებაც“. ლავალმა დასძინა, სანქციათა საკითხში საფრანგეთის მთავრობა ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებდა, მიღწეული იყო შეთანხმება, რათა არ გამოგვეყენებინა სამხედრო სანქციები და ისეთი ზომები, რომელნიც საზღვაო ბლოკადას გამოიწვევდნენ. „ერთი სიტყვით,—აღნიშნა ლავალმა.—ჩვენ თავი დავდებით ყოველსავე, რაც კი ევროპაზე გაავრცელებდა იტალია-აბისინიის კონფლიქტსო“.

ხორთან მოლაპარაკების შესახებ ლავალმა განაცხადა, შეთანხმებითვის შემუშავებული პროექტი ინგლის-საფრანგეთის მეცადინეობას „ზვარის წარმოადგენსო“. „ჩვენ ამ პომენტს განვიცდით, როდესაც იხილავენ ახალ სასტიკ ზომებს,—განაგრძო პრემიერმა. მე ვლაპარაკობ იმ ჟენევის სახელით, რომელიც პატივისცემით ეპყრობა თავის ვალდებულებებს“. „ხუ დაივიწყებთ,—ამბობს ლავალი,—რომ ერთა ლიგას წესდების პირობებით მე-16 მუხლის მესამე აბზაცსა შეიძლება ომი მოითხოვოს. განსაკუთრებით, რომ მე მხედველობაში მაქვს ახლანდელი სიტუაციის ყოველგვარი შედეგი“. „ამბობენ, თითქოს ჩვენ აგრესორისთვის რაღაც ჯილდოს მცემას ვთანხმდებოდითო,— განაცხადა ლავალმა. ჟენევის ყოველისა ჩვენ მხოლოდ გეგმა შეგიმუშავეთ, ჩვენ არავითარი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ჩვენ შევასრულეთ ერთა ლიგის მიერ ჩვენთვის მონდობილი მისია. მხოლოდ ლიგას ეკუთვნის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის უფლება. მე ეს უკვე ვთქვი. მაგრამ მე უარვყოფ, როგორც უსამართლოსა და არამართებულს იმ კრიტიკას, რომლითაც შეხვდნენ ჩვენს პროექტს. არ ვიცით რას გვისაყვედურებენ. მე ვერ ვხედავ, რა სისტემას გვიპირისპირებენ და რას იზამდნენ ჩვენს ადგილას. ჩვენს მიერ შემუშავებული პროექტის კრიტიკოსები რომ ყოფილიყვნენ“. „ცხადად მაქვს შეგნებული ჩემი პასუხისმგებლობა,—განაგრძო შემდეგ ლავალმა.—და აშკარად ვაცხადებ: თუ შემუშავებული წინადადებებს, მიიღებდნენ დაინტერესებული მთავრობები, ამას შეიძლება მოჰყოლოდა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა, სამაგიეროდ და სამართლიანი გადაწყვეტა თუ მას ერთა ლიგის ბეჭედი ეჭებოდა“.

ლავალმა სიტყვის ბოლოს აღნიშნა: ევროპის მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად საფრანგეთს სურს კარგი დამოკიდებულება ჰქონდეს უცხო სახელმწიფოებთან, მიუხედავად იმისა, თუ როგორია იქ არსებული რეჟიმიო. ლავალის სიტყვით ამით აიხსნება მისი მოგზაურობა რომსა და მოსკოვში. „მე მიზნად ვისახავ მივაღწიო საფრანგეთის უშიშროებას, — განაცხადა ლავალმა, დასასრულს,—იმ პოლიტიკით, რომელიც ზოგს მიაჩნია უშედეგოდ, მაგრამ რომელიც ჩემს სინდისს აკმაყოფილებს, ვინაიდან მშვიდობიანობის განტკიცებისკენ არის მიმართული“.

ლავალის განმსიოთამ მკაცრი კრიტიკი გამოიწვია პალატის მემარცხენე დეპუტატების მხრით.

სოციალისტმა ფონტანიომ აღნიშნა: იტალიისათვის აგრესიის პრემიად აბისინიის ნახევარი ტერიტორიის დათმობა ერთა ლიგის წესდებას ეწინააღმდეგებაო. თავისი პოლიტიკით,—ბაზი გაუსვა ფონტანიომ,—ლავალი ზიანს აყენებს ერთა ლიგას, ავრცელებს თავის ინტერესებს და იგი იზოლაციის მდგომარეობაში ვარდება იმ დროს, როდესაც ომი მზადდებაო.

სოციალისტი მუტე გამოვიდა ლავალის მიერ წამოყენებული ბრალდებების საწინააღმდეგოდ, ვითომ მემარცხენე პარტიებს ომი სურდეთ. „ჩვენ მხოლოდ ერთი საზრუნავი გვაქვს—ეს არის მშვიდობიანობის შენარჩუნება — განაცხადა მუტემ.

ხელახლა გამოსულმა ლავალმა წინადადება შეიტანა, რათა დეპუტატთა პალატაში კამათი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ 27 დეკემბრისთვის დაენიშნათ. სოციალისტმა ბლიუმმა განაცხადა, ლავალის სიტყვასთან დაკავშირებით საჭიროა საგარეო პოლიტიკის შეკითხვები დღესვე გაირჩესო. ლავალმა ნდობის საკითხი დასვა.

პალატამ 304 ხმის უმეტესობით 252 ხმის წინააღმდეგ ლავალის წინადადება მიიღო (ადს).

საბჭოთა კავშირი

ამხ. ა. ა. ანდრეევის გამოსვლა საკავშირო კინოთათბირზე

მოსკოვი, 17 დეკემბერი. 17 დეკემბერს საღამოს საკავშირო კინოთათბირზე შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. მდივანი ამხ. **ა. ა. ანდრეევი**. მის სიტყვას ხანგრძლივი და მჭიხარე ტაშით შეხვდნენ.

თავის სიტყვაში ამხ. ანდრეევმა ხაზგასმით აღნიშნა: ის უეჭველი წარმატებანი, რომლებსაც ჩვენმა კინემატოგრაფიამ ამ ბოლო წლებში მიაღწია, სრულებით არ კმარაო. ამხ. ანდრეევმა საბჭოთა კინოს შემოქმედი მუშაკების წინაშე დააყენა საბრძოლო ამოცანა, რათა უკვე 1935 წელს მკვეთრად გაძლიერდეს ჩვენი გმირული წარსულისა და მშვენიერი აწმყოს ამსახავი მხატვრული ფილმების გამოშვება; სერიოზულ ფილმებთან ერთად გამოიცეს მეტი მხიარული სურათი, გამოიცეს მეტი სამეცნიერო და საბავშვო სურათი, ამავე დროს მიღწეული იქნას მათი ხარისხის ამაღლებაც. ამხ. ანდრეევმა ხაზი გაუსვა, აუცილებელია დაჩქარებითა და უფრო ღრმად შეიჭრას კინო სოფელშიო.

თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილა ამხ. ანდრეევმა მოანდომა იმის აღნიშვნას, რომ საბჭოთა კინოს მხატვრულად გაძარჯვებასთან ერთად აუცილებელია მეცადინეობა კინემატოგრაფიის ტექნიკის დარგში პირველობის მისაღწევად. საჭიროა გადმოვიღოთ უცხოეთის კინემატოგრაფიისგან ყოველივე საუკეთესო, მოწინავე, თავმომწონეობას არ უნდა ავყვეთ და ფართოდ უნდა განვავითაროთ თვითკრიტიკა კინოს მუშაკთა შორის. ეს უზრუნველჰყოფს საბჭოთა კინოს შემდგომ წარმატებებსო.

ამხ. ერმლერმა ყველა კინომუშაკის სახელით მიჰმართა ამხ. ანდრეევს თხოვნით, რათა გადასცეს ამხანაგ **სტალინს**, საბჭოთა კინოს შემოქმედი მუშაკები პირობას აძლევენ თავიანთ ბელადს, მასწავლებელს და მეგობარს რომ შეასრულებენ თავის წინაშე მდგარ ამოცანებს.

ბელადის სახელის ხსენება ოვაციებს იწვევს. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ტაშის გრიალში ისმის შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს“, „ვაშა დიდ ბელადს!“ (ადს).

სტახანოვური მუშაობა

სტალინო, 17 დეკემბერი. 15 დეკემბერს „არტემუგოლის“ ტრესტის ყველა შახტმა პირველად იმუშავა სტახანოვურად მთელ დღე-ღამეს. ამ მუშაობის შედეგად ახალი გამარჯვება მოიპოვეს: ტრესტმა პირველად ამოიღო 39.756 ტონა ნახშირი სადღე-ღამისო გეგმის 104,7 პროცენტი.

ამავე დღეს „კადიევუგოლის“ ტრესტის 13 შახტმა მოაწყო სტახანოვური ცვლების მუშაობა. შედეგად ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვეულებრივი სადღე-ღამისო მოპოვების 28.5 ტონის ნაცვლად ამ დღეს 31.152 ტონა მოიპოვეს. შახტი „ცენტრალური ირმინო“ საშუალოდ ცვლაზე 450 ტონას იძლეოდა. 15 დეკემბერს სტახანოველთა ცვლამ, რომელშიც მუშაობდნენ სტახანოვ. დიუკანოვი და მაღალი შრომის ნაყოფიერების სხვა საუკეთესო ოპერატორები, 835 ტონა მოიპოვა.

მოსკოვის კომკავშირელ პროპაგანდისტთა კრება

ამხ. ა. ა. ანდრეევის და მ. ვ. კოსარევის გამოსვლა

მოსკოვი, 17 დეკემბერი. 17 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა დედაქალაქის კომკავ. პროპაგანდისტთა კრება. ათასზე მეტმა ახალგაზრდა პროპაგანდისტმა მოისმინა ალკკ (ბ) მდივნის ამხ. ფაინბერგის მოხსენება კომკავშირელი პროპაგანდისტების ამოცანების "შესახებ ალკკ მე-10 ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

კრებაზე გამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. მდივანი ამხ. ა. ა. ანდრეევი, რომელსაც მჭიხარე ოვაციებით შეხვდნენ. გამოვიდნენ აგრეთვე საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კოგანი და ალკკ (ბ) კ. მდივნები ამხ. კოსარევი და ლუკანოვი.

კრებამ მისალმების წერილი გაუგზავნა დიდსა და საყვარელ ბელადს ამხანაგ ტალინს, რასაც დამსწრენი მჭიხარე ტაშით შეხვდნენ (ადს).

10.000 მანეთი პრემია

საშემოდგომო ირმუკობათა და დღისასწაულის წინა ბაზრობათა მოწყობისათვის საქართველოს შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატი შინავაჭრობის საკავშირო სახალხო კომისარიატის მიერ დაჯილდოებულია 10.000 მანეთით (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

არონ კიტია

კვირიკაძე ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი მუნჯელი.

(იხ. წერილ. მე-3 გვერდზე).

კიროველები საქმით უპასუხებენ ალექსი სტახანოვს

(ტელეფონით ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან)

ჩვენ, კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მთელმა კოლექტივმა, დიდი ყურადღებით წავიკითხეთ „კომუნისტში“ ამხანაგ **ალექსი სტახანოვის** წერილი საქართველოს ციტრუსების და ჩაის სახელოვან მებრძოლებისადმი.

სტახანოვური მოძრაობა, რომელსაც ასულდგმულებს საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის სიტყვა, გვგანტური ნაბიჯით მიდის წინ. ჩვენი მეურნეობის სტახანოველები თავდაყირა აყენებენ ძველ ნორმებს, ამყარებენ შრომის ნაყოფიერების ახალ უფრო მაღალ მაჩვენებელებს.

ჩვენი მეურნეობის სტახანოველმა **ალექსანდრე მიშჩევსკიმ** 2 დეკემბერს პლანტაციის საზამთრო გადაბარვის ნორმა (340 კვადრატული მეტრი) შეასრულა 132,4 პროცენტით, 3 დეკემბერს—160,5-ით, 4 დეკემბერს—185-ით, 6 დეკემბერს—193,9-ით, 7 დეკემბერს—195,6-ით. მანვე ორმოების ამოღების ნორმა (35) 9 დეკემბერს შეასრულა 200 პროცენტით, 11 დეკემბერს 262,9-ით 13 დეკემბერს—317,5-ით.

ასევე ამსჯერევენ ძველ ნორმებს **ივანე ავეჩკინი, მატრონა შევჩუკი, ანდრია კულინიჩი, ტატიანა ლაპტევა, ანა ვერეშჩაგინა, ანა პიატკოვსკაია, ნეჟენცევა** და სხვები.

ჩვენი პასუხი ამხანაგ ალექსი სტახანოვის წერილზე ასეთია: ჩაის პლანტაციების საკაზამთრო გადაბარვა—კულტივაციაზე შრომის ნაყოფიერებას გადიდებით 25 პროცენტით, საზამთრო გადაბარვაზე—20 პროცენტით, ჩაის ბუჩქის გასხვლა-გაფორმებაზე—15 პროცენტით.

აღნიშნულ სამუშაოებზე 1935 წელს დახარჯული 163.300 კაც-დღის ნაცვლად 1936 წელს ვხარჯავთ 126,900 კაც-დღეს.

ჩაის მოსავლიანობას ერთ ჰექტარზე ვიდიდებთ 300 კილოგრამით, ანუ 1936 წლის 1 იანვარზე ავიღებთ 1.800 კილოგრამ ჩაის, ნაცვლად 1935 წლის 1. 519 კილოგრამისა.

ციტრუსოვანთა მუნობის ოსტატი სტახანოველი **სერგო ბაგერიძე** კისრულობს წლიურად ჩაებაროს მეურნეობას 20.000 ძირი გახარებული ციტრუსოვანი ნამყენი. მომავალ სამი წლის განმავლობაში 227 ჰექტარზე გავაშენებთ ციტრუსოვან კულტურებს და ამით უზრუნველვყოფთ საკავშირო სახკომსაბჭოს და ც. კ.-ის დადგენილების განხორციელებას.

ძმური სალამი დონბასელ გმირებს ჩაისა და ციტრუსოვანი პლანტაციების ქვეყნიდან, ორდენოსან საქართველოს მოწინავე საბჭოთა მეურნეობიდან, სადაც სტახანოვური მოძრაობა მასობრივად ჩაღდება!

ლაითურის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი და დამჭვრელი ეუშების დავალებით:
ნ. გიორგაძე, ა. ცინცაძე, ს. მასხულია.

ჩვენი პასუხი ორდენოსან სტახანოვს

ტფილისი, „კომუნისტის“ რედაქციას

გათოში, 19 დეკემბერი. (ტელეგრაფით). ჩაქვის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა დაამუშავა **ალექსი სტახანოვის** წერილი, რომელიც მოთავსებულია თქვენი გაზეთის 18 დეკემბრის ნომერში, და პასუხად კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

გარდაქმნას მუშაობა სტახანოვურად;

გადაამუშავოს 1936 წელს 1.850.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, 1935 წლის 1.302.000-ის ნაცვლად; ამასთან **უარს ვამბობთ 213.000 მანეთის დამატებითი მანქანებსა და მოწყობილობაზე,**

აჩვენოს 1935 წელზე უფრო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები;

გამოიყენოს ფაბრიკის ტერიტორიის ყველა თავისუფალი ნაკვეთი ციტრუსების დასარგავად.

საერთო კრების დავალებით—ჩაქვის ჩაის ფაბრიკის სამეურნეო კომიტეტი

□ □ □

ა. ს. პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავის გამო პუშკინის საკავშირო კომიტეტის დაარსების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

რუსეთის დიდი პოეტის, რუსული სალიტერატურო ენის და ახალი რუსული ლიტერატურის მამათმთავრის ალექსანდრე სერგეის ძის **პუშკინის**, რომელმაც კაცობრიობა მხატვრული სიტყვის უკვდავი ნაწარმოებებით გაამდიდრა, გარდაცვალების ასი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დაარსდეს პუშკინის საკავშირო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — **ა. მ. გორკი**

თავმჯდომარის მოადგილეები — **ა. ს. ბუბნოვი** და **ა. ს. შჩერბაკოვი**

კომიტეტის წევრები

1. ქ. ე. ვოროშილოვი, 2. ვ. ი. ჩუბარი, 3. ა. ა. ჟდანოვი, 4. ვ. მ. მექლაუკი, 5. ა. ი. სტეცკი, 6. ი. ა. აკულოვი, 7. ა. ს. კისელიოვი, 8. ი. პ. ზატონსკი, 9. ნ. ა. ბულგანინი, 10. ი. ფ. კოდაცკი, 11. აკად. ა. პ. კარპინსკი, 12. აკად. ნ. პ. გორბუნოვი, 13. აკად. ა. ს. ორლოვი, 14. აკად. მ. ნ. როზანოვი, 15. აკად. ნ. ი. ბუხარინი, 16. აკად. ნ. ს. დერჟავინი, 17. ვ. ვ. ვერესაევი, 18. ა. ს. სერაფიმოვიჩი, 19. დემიან ბედნი, 20. ა. ნ. ტოლსტოი, 21. ა. ი. ფადეევი, 22. ნ. ტიხონოვი, 23. ი. ნ. ტინიანოვი, 24. კ. ი. ჩუსოვსკი, 25. ფ. გლადკოვი, 26. კ. ს. სტანისლავსკი, 27. ვ. ი. ნემიროვიჩ დანჩენკო, 28. ვ. ე. მეიერხოლდი, 29. პროფ. მ. ა. ციაველოვსკი, 30. პროფ. ი. გ. ოქსმანი, 31. პროფ. დ. დ. ბლაგოი, 32. ი. კ. ლუპოლი, 33. ნ. ნ. ნაკოროიაკოვი, 34. ა. ბეზიმენსკი, 35. პაველ ტიჩინა, 36. კორნეიჩუკი, 37. იანკ კუპალა, 38. ლახუტი, 39. აინი, 40. გ. ტაბიძე, 41. მ. ჯავახიშვილი, 42. ე. ჩარენცი, 43. ასაკ ტაგიროვი, 44. (გამოტოვებულია), 45. გ. იბრაჰიმოვი, 46. ტაშ-ნაზაროვი, 47. საკენ სეიფულინი, 48. მაჯიდ-რახმატი.

2. მიენდოს პუშკინის კომიტეტს შეიმუშა

ბოლშევიზმის ცოცხალი სიტყვა

„პრავდის" მოწინავე 18 XII.

ბოლშევიკური აგიტაციის სიტყვა მტრის გამბედავი იარაღია. ეს არის ჩამორჩენილთა დაჯერება. ეს არის მასებისათვის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ცხადად და მართლად განმარტება. ბოლშევიზმის ცოცხალი სიტყვა მით უფრო ძლიერი და ორგანიზებული უნდა იყოს, რაც უფრო მტკიცეა ჩვენი გამარჯვებანი, რაც უფრო ფართოა ჩვენი ჰორიზონტები, რაც უფრო ახლოა მიზანი—სოციალისტური საზოგადოების აშენება.

მაგრამ მოიპოვებიან ასეთი უმეცარი თეორიების მქადაგებელნი: „ჩვენ გავიმარჯვეთ, და შეიძლება შევასუსტოთ აგიტაცია სოციალიზმისათვისო". ასეთი თეორია, როგორც სჩანს, ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებსაც კი გადაედოთ.

„... ბალახნის კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა იმ ფაქტიდან, რომ მუშათა მასები უსაზღვრო ნდობით ეკიდებიან პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, არასწორი პრაქტიკული დასკვნები გამოიყვანა და ყოველდღიური მასობრივი პოლიტიკური ახსნა-განმარტებითი მუშაობა შეასუსტა"...

ასეა ნათქვამი ბალახნის კომბინატში პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობის შესახებ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. რომელიც 4 დეკემბრის „პრავდაში" გამოქვეყნდა.

აგიტაცია ჩრდა პარტიის ბასრ საბრძოლო იარაღად. აგიტაციის მნიშვნელობა ახლა არა ისე არ მცირდება, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდება. საბჭოთა რესპუბლიკების მრავალმილიონიანი ხალხი ახალ ცხოვრებას დაეწაფა. ყოველ დღეს მოაქვს მუშათა და კოლმეურნეთა გმირული საქმეების ამბავი. ერთიერთ სტახანოველთა მოძრაობა უკვე გადაიქცა სოციალისტური შეჯიბრების ახალ მძლავრ ბზირეთად. მუშათა საუკეთესო ნიმუშთა სწრაფად გავრცელება, მოწინავეთა გამოცდილების ჩამორჩენილთათვის განძარტება, განმარტება პარტიის ყოველი ახალი გადაწყვეტილებისა და ცითითებისა ტექნიკის ათვისების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მასების შიმდგომი მატერიალური და კულტურული აღმავლობის შესახებ — განა შეიძლება ასეთი მუშაობა თვითდინებაზე იყოს მინებებული? განა არ შეიძლება იოლად წავიდეთ ისე, რომ არ გვქონდეს ბოლშევიკური აგიტაციის მტკიცედ მიწერილი და მოქნილი სისტემა?

ჩვენი ქვეყნის ტიპები—ეს არის ჩვენი ქვეყნის ტიპები, რომელიც ბრძნებულია ნაბიჯებით მიდის წინ. აგიტაცია უნაყოფოა, თუ იგი ცხოვრებას ჩამორჩება, თუ მას იმაზე დღეს და იმაზე საათში არ მიჰყავს მასების შეგნებამდე პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ახალი ლოზუნგი, ახალი მითითებანი. თუ იგი ჩამორჩება მიმდინარე მოვლენათა ახსნა-განმარტებას. აგიტაციაში ჩამორჩენა—ეს ნიშნავს მასების პოლიტიკურ ორგანიზაციაში ჩამორჩენას. მოქნილი, ცოცხალი აგიტაცია ახალი გამარჯვებებისათვის რაზმავს მასებს. მარიამ დემჩენკოს საწარმოო რეკორდის ამბავი უკრაინის მინდვრებს კოლმეურნე აგიტატორებმა მიჰფინეს. სტახანოვის სკშეების ამბავი „ნიკანორ-ვოსტოკის" ქვანახშირის მაღაროდან ელვასავით მოედო დონბასის შახტებს პარტიული პრესის გზით, შახტებისა და ლავების პარტიულ აგიტატორთა საშუალებით.

ანდა ავიღოთ აგიტაციის ინტერნაციონალური მნიშვნელობა. ყოველი დღე გვაძლევს განსაცვიფრებელ კონტრასტებს ლპობად კაპიტალიზმსა, ცოფმძორეულ ფაშიზმსა და ჩვენი ქვეყნის ზრდას შორის. იძახ იედი ხომ არ უნდა გვქონდეს, რომ ამ საკითხების განძარტება მიაღწევდა მაეპრამდე თვითდინებით ან მარტო ანზეთის გზით?, მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, გაზეთიც ხომ ყველგან ვერ აღწევს. დიაღ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არც თუ ისე ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ახლა ეწაფებიან ცხოვრებას, რომლებსაც უნდა წავუკითხოთ გაზეთი და განვუმარტოთ მიმდინარე მოვლენები.

მრავალფეროვანი ცხოვრება ქალაქად, სოფლად და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში გვიჩვენებს, თუ რა უძაგალითოდ გაიზარდა მასების ლტოლვა პოლიტიკური სიტყვისაკენ, პოლიტიკური ინფორმაციისაკენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ. რა უდიდესი ინტერესით ეკიდებიან ახლა ჩვენი ფაბრიკების და ქარხნების მუშები ყოველგვარ მოხსენებას! ანდა საკმარისია სოფელში მომხსენებელის ჩავიდეს, და კუთხეში მიეშურება მთელი სოფელი—დიდი და პატარა. და აგიტაციის საქმის მთელი ორგანიზაცია ამ-ულამდე აშკარა წინააღმდეგობაშია მასების ამ გაზრდილ ლტოლვასთან პოლიტიკური ინფორმაციისაკენ, იმ უდიდეს მოკავანებასთან, რომლებიც დგანან ჩვენი აგიტაციის წინაშე. სწორედ ყველაზე ადრე და უწინარეს ყოვლისა მოიკოკლესებს პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის ორგანიზაცია.

საჭიროა გადავლახოთ ყალბი წარმოდგენა ჩვენი პროპაგანდისტის, აგიტატორის ტიპზე. ამ მნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელის ტიპზე, ის წარმოდგენა, რომ ადამიანი, რომელიც პროპაგანდას აწყობს, უნდა ყოს მხოლოდ ქწიგნობარი, წიგნიდან ადამიანი, და არა ორგანიზატორი. სწორედ პარტიული მუშაობის ასეთ მნიშვნელოვან უბანზე უნდა იდგეს მტკიცე, უნარიანი ორგანიზატორი, იდეურად შეიარაღებული ბოლშევიკი.

აგიტაციის შესაძლებლობანი ჩვენში განსაკუთრებით გაიზარდა, რომ ბრძოლაში დავრწმუნდეთ, საკმარისია ჩავიხედოთ ჩვენი ქვეყნის ტელეფონიზაციის ციფრებში, რადიოს, გაზეთების გავრცელების ციფრებში. მართალია. რადიო დაუდევარი პატრონის ხელში ხშირად უმოქმედოდ გაზეთები, ტირაჟის უზომოდ ზრდის მიუხედავად, სამწუხაროდ, ხშირად მკითხველამდე ვერ აღწევენ, მეტადრე სოფლად. ხოლო გაზეთი აგიტაციის აქტიური იარაღია. არ შეიძლება გვქონდეს კულტურულად დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია, თუ არ არის ახალი გაზეთი, თუ გაზეთს არ კითხულობს ან ცუდათ კითხულობს რაიონული აქტივი.

გაიზარდნენ აგიტატორთა კადრები. რა ბრწყინვალე სიტყვები წარმოითქვა ამასწინათ კრემლის ტრიბუნიდან რიგითი მუშების, კოლმეურნე აქტივისტთა პირით! ამჟამად სოფლადაც კი არსებობს აგიტატორთა მთელი არმია პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა რიცხვიდან. საჭიროა მხოლოდ მათი გამოძებნა და მათთვის დახმარების გაწევა.

შაშასადამე, სააგიტაციო შარჭანის ყველა ნაწილი გვაქვს. მაგრამ, ვაი მეორეთ, ცალკეულ ორგანიზაციებში არ არის ის სონტაირი—ორგანიზატორი, რომელმაც მანქანა უნდა აიწყოს და სრული დატვირთვით, ააძუშაოს. მტკიცე ორგანიზატორთა კადრები—პირველ რიგში აგიტაციის უბანს.

სწორედ სააგიტაციო მუშაობის ორგანიზაციის შეუფასებლობიდან გამომდინარეობს ამ დიდი საქმის ყველა ხარვეზება. ამ ხარვეზებებს, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის მომზადებული კადრების უყოლობა, სქოლასტიკა, ცხოვრებასთან კავშირის უქონლობა, აბეხული, გაბიუროკრატებული, მასებისათვის გაუგებარი ენა აგიტაციის შიგნაარსსა და ფორმაში. ლუხები კი გვასმენია: „პროპაგანდისა და აგიტაციის გარკვეულობა ძირითადი პირობაა. თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი ამბობდნენ და აღიარებდნენ, რომ აგიტაციისა და პროპაგანდის განვითარებაში ჩვენ სასწაულები მოვახდინეთ, ეს უნდა გაიგოს, ოო გარეგნულად, რომ ჩვეს ბევრი აგიტატორი გვყავდა და ბევრი ქალალდი დავხარჯეთ, არამედ ეს უნდა გავიგოთ შინაგანად, რომ ის ძალთა ოლე, რომელიც ამ აგიტაციაში იყო, ყველას გონებისკენ იკაფავდა გზას. და ამ სიძირთულისათვის გვეროდის ავალა შეუძლებელია".

თუ რა დაშორებული არიან ზოგჯერ ცხოვრებას ჩვენი კულტურიკატები, პროპაგანდისტები და აგიტატორები, ამას მოწმობს ამას წინათ „პრავდაში" გამოქვეყნებული ძასლები ყაროსეულის ალბ-ს სიუნჟედვიცკის რაიონში აგიტაციის მდგომარეობის შესახებ. ამ რაიონში არიან კოლმეურნეთა არც თუ ისე მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომელთაც ამ უკანასკნელ დღეებამდე არ იცოდნენ, თუ ვინ არის მარიამ დემჩენკო, ვინ არის ალექსი სტახანოვი. დამახასიათებელია, რომ კომინტერნის კონგრესის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ მოუმზადებელ პროპაგანდისტები ამ რაიონში კოლმეურნეებთან „ამუშავებენ" პიკიას და ერკოლის ხახსენებებს. ან „დამუშავების" დღეებში ცხოვრება, გაზეთები დემიხკის, სტახანოვის, ბუსიგინის, ვინოგრადოვების რეკორდებზე ლაპადებენ. აგიტატორის კაცხალი სიტყვა კი ამ ამბებზე არ ისმის. გასაგებია გამოინახოს ჩინოვნიკობისა და ფორმალიზმის უარესი ნიშნები, ვიდრე ამგვარი პარტიული აგიტაცია და პროპაგანდა?

აგიტაციაში ჩინოვნიკობის მაგალითს იძლევა ბალახნის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის პარტკომის მუშაობა. ერთის მხრივ—დეკლარაციები მუშებისათვის პოლიტიკური ინფორმაციის „ასი პროცენტით მიწოდების" შესახებ, ჯგუფური აგიტატორთა შერჩევისა და მუშაობის შესახებ. ნამდვილად კი ამ კომბინატში მუშას არ უხსნიან პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენებს, ნამდვილად კი აგიტატორთა და მესაუბრეთა კადრები დანაგვიანებულია მცირემცოდნე, პოლიტიკურად მოუმზადებელი ადამიანებით, უცხო ადამიანებითაც კი.

ხოლო საეჭვოა, რომ აგიტატორთა ასეთმა კადრებმა მასების შეგნებამდე მიიყვანონ მართალი და გასაგები სიტყვა ჩვენი პარტიის პოლიტიკის შესახებ, იმ დიდი საქმეების შესახებ, რომლებიც ჩვენი სამშობლოს უზარმაზარ მიწაწყალზე ხდება. საზღვარგარეთის ამბების, მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ.

ავრეშუმის ქარხნებიდან ფაბრიკების სტახანოველები ამხ. უურულაშვილთან

საქართველოს აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკებში სტახანოური მოძრაობა ნამდვილად დაიწყო მაშინ, როცა ძაფის ამომღები რამდენიმე მუშა ქალი, მათ შორის **ო. გელეშიძე** (ხონის ფაბრიკა), **ნ. მანჯგალაძე** (სამტრედიის ფაბრიკა), **ო. ზდანოვსკაია** (ქ. მახარაძის ფაბრიკა) და სხვ., ერთის ნაცვლად, გადავიდნენ ორი 8 თვალა ვარცლის, ხოლო მთელი რიგი სხვა მუშები—1½ ვარცლის მომსახურებაზე.

ერთი ადამიანის მიერ ორი ვარცლის მომსახურება აბრეშუმის ძაფის ამომღები 28 ქალი მომსახურებას უწევს ორ-ორ ვარცლს და 54 ქალი-ერთანხეგარ ვარცლს. 2 ვარცლის მომსახურების დროს აბრეშუმის ძაფის ამომღებმა ქალებმა არათუ არ შეამცირეს გრეჟის გამოსავალი ყოველ ვარცლზე, არამედ, პირიქით, გაადიდეს კიდეც, ორ-ორ ვარცლზე 1,400 გრამ ძაფს იძლევიან 7-8 მანეთის ნაცვლად. ახლა დღეში 25 მანეთამდე აკეთებენ.

მახარაძის, სამტრედიის, ხონის, ჭიათურის და თელავის ფაბრიკების სტახანოველი ქალები 17 დეკემბერს ჩამოვიდნენ ტფილისში, სადაც მოეწილეობას იღებდნენ აბრეშუმის მრეწველობის სტახანოველთა თათბირზე, რომელიც ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მიმდინარეობდა.

იმავე დღეს აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკების სტახანოველი ქალები მიიღო საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარმა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **უურულაშვილმა.**

გაიმართა ხანგრძლივი და გაცხოველებული საუბარი რომლის დროსაც ამხ. **უურულაშვილმა** სტახანოველ ქალებს გააცნო საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის მდგომარეობა. პირველ სტახანოველთა მაგალითმა სხვებიც გაიყოლია. ამჟამად ხონის ფაბრიკაში აბრეშუმის ძაფის ამომღები 28 ქალი მომსახურებას უწევს ორ-ორ ვარცლს და 54 ქალი-ერთანხეგარ ვარცლს. 2 ვარცლის მომსახურების დროს აბრეშუმის ძაფის ამომღებმა ქალებმა არათუ არ შეამცირეს გრეჟის გამოსავალი ყოველ ვარცლზე, არამედ, პირიქით, გაადიდეს კიდეც, ორ-ორ ვარცლზე 1,400 გრამ ძაფს იძლევიან 7-8 მანეთის ნაცვლად. ახლა დღეში 25 მანეთამდე აკეთებენ.

მახარაძის, სამტრედიის, ხონის, ჭიათურის და თელავის ფაბრიკების სტახანოველი ქალები 17 დეკემბერს ჩამოვიდნენ ტფილისში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აბრეშუმის მრეწველობის სტახანოველთა თათბირზე, რომელიც ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მიმდინარეობდა.

— ტფილისის „26"-ის სახელობის ქარხანას,—ამბობენ ისინი, — უნდა მიეცეს შეკვეთა—გააკეთოს ახალი ვარცლები. მაშინ შესაძლებელი იქნება კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობაო.

ამხ. უურულაშვილმა აღუთქვა სტახანოველ ქალებს, რომ ყველა მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება და რომ შეიქმნება ყველა პირობა, რათა მათ შეინარჩუნონ აბრეშუმის ძაფსაღებ მრეწველობაში პირველად მიღწეული რეკორდები. (ადს).

ფრიადზე ჩავატაროთ პირუტყვის აღწერა

თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

გუშინ, 19 დეკემბერს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **გ. მგალობლიშვილის** თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი პირუტყვის აღწერის საკითხებზე.

თათბირს დაესწრნენ საქართველოს რაიონული აღმასკომების თავმჯდომარენი და პარტრაიკომების მდივნები თათბირს ესწრებოდნენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **ვ. ბაქრაძე**, ც. კ-ის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. **ა. კეკელია**, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **შ. მათიკაშვილი**, ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოთა უფროსები ამხ. **პეტერსკი** და **დვალი**.

